27/11/2018

ანკარაში ქართველი მრევლისთვის პირველი პარაკლისი აღევლინა

ა.წ. 25 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით ანკარაში, საქართველოს საელჩოს შენობაში, იღუმენმა მიქაელმა (ბრეგვაძე) სავედრებელი პარაკლისი გადაიხადა. მსახურებას დაესწრნენ საელჩოს თანამშრომლები და ანკარაში მყოფი ქართველები.

შევნიშნავთ, რომ ჩვენი მრევლისთვის სტამბულში მსოფლიო საპატრიარქოს თანხმობით უკვე წლებია პერიოდულად ტარდება წირვა-ლოცვა და ვიმედოვნებთ, ანკარაშიც მსგავსი მდგომარეობა იქნება. აქ პირველი წირვა 3 თებერლისთვის არის დაგეგმილი.